ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

იოსები გობრონიძე

პრომო-კამპანიების მართვის სისტემა - Promo Campaigns Management System

სამაგისტრო პროგრამა: ინფორმაციული სისტემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ინფორმაციულ სისტემებში
მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:
გია სირბილაძე,
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი;
ირინა ხუციშვილი,
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი.

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგებს პრომო-კამპანიების (უფრო ზოგადად, წამახალისებელი გათამაშებების) მართვის სისტემის აღწერას. სისტემის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია მრავალი პრაქტიკული პრობლემის გადასაჭრელად. იგი დღეს-დღეობითაც ემსახურება რეალურ სამყაროში კლიენტების მოთხოვნებს და ასრულებს მნიშვნელოვან როლს ზოგიერთი კომპანიის განვითარებაში. სისტემის ფუნქციონირების მთავარი ასპექტები პრაქტიკული გამოცდილებაზეა დაფუძნებული და ითვალისწინებს ახალი გამოცდილების გამოყენებას. ეს კი უზრუნველყოფს კლიენტზე მორგებულობას და დამკვეთის მაქსიმალურ კომფორტს.

სისტემის ძირითადი შესაძლებლობები შეგვიძლია შემდეგ ნაწილებად დავყოთ:

- კონკრეტული კომპანიებისთვის არხებისა და მომხმარებლების შექმნა, რომლებიც შემდეგ უზრუნველყოფენ აპლიკაციის გამართულ მუშაობას;
- პრომო-კამპანიისა და შესაბამისი ვაუჩერების შექმნა/გენერაცია;
- არსებული კამპანიებისა და ვაუჩერების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებული არხისთვის ვებ-სერვისით მიწოდება;
- სტატისტიკური მონაცემების დათვალიერება ვებ-აპლიკაციით ან ინფორმაციის რეპორტებში ასახვა;

რადგანაც სისტემა პირდაპირ კავშირშია მომხმარებლებთან და ასევე სისტემას პირდაპირი კავშირი აქვს მატერიალურ ღირებულებებთან (მოგებული პრომო-კოდი), ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სისტემის სანდოობა, ხელმისაწვდომობა, საიმედოობა, უსაფრთხოება, დაცულობა და სხვა. სწორედ ამ ფაქტორების მაღალი ხარისხით წარმოჩენაა სისტემის მთავარი მიღწევა.